ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302520663**
თარიღი: **25/07/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2025 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1106 განკარგულებით 2025 წლის თებერვლის თვეში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების (დიდთოვლობის) შედეგად დაზიანებული ინდივიდუალრი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოიყო 7365000 (შვიდი მილიონ სამას სამოცდახუთი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1107 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 1600000 (ერთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, რომლიდანაც მიიმართება დამცავი კედლებისა და გაბიონების მოწყობაზე 500000 (ხუთასი ათასი) ლარი, დაზიანებული გზების რეაბილიტაციაზე 600000 (ექვსასი ათასი) ლარი, სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია მოწყობაზე 500000 (ხუთასი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1105 განკარგულებით მიმიდნარე წლის თებერვლის თვეში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიის (დიდთოვლობის) შედეგად დაზიანებული ინდივიდუალრი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების დაფინანსებისათვის მუნიციპალიტეტს გამოეყო 220000 (ორას ოცი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის N1955 განკარგულებით მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის (პროექტის ღირებულება 1973596 ლარი) რეაბილიტაციაზე დამატებით გამოიყო 34595 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 1821 ლარი, სულ 36416 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის მიმართვა განხორციელდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მისაღები შემოსავლის გეგმის 1821 ლარის ზრდის ხარჯზე.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 25 ივლისის N1187 განკარგულების

საფუძველზე გამოიყო 60551 ლარი 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარლებული მოსახლეობის დროებითი განთავსების ხარჯების (ბინის ქირა) დასაფინანსებლად. (ორგ.კოდი 06 02 12).

სამსახურების მოწოდებული წინადადებების საფუძველზე დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში უნდა განხორციელდეს დაფინანსების შიდა გადანაცლება კერძოდ:

შემცირდეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების დაფინანსების მუხლი (020401) 600000 (ევსასი ათასი) ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს 417800 ლარით საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების ხარჯის არაფინანსური აქტივების (0208) მუხლი, 155980 ლარით გაიზარდოს სოფელ ორაგვეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების (010205) მუხლი, 26220 ლარი მიიმართოს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში სოფელ ჩიბათში ვიზიტორთა შენობის ეზოს შემოღობვაზე, ამავე პროექტზე მიიმართოს 41280 ლარი კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში არაფინანსური აქტივების (050103) მუხლის დაფინანსების 41280 ლარით შემცირების ხარჯზე სულ აღნიშნულ პროექტზე მიიმართება 67500 ლარი. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 13 მაისის N783 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტებზე გადაცემული თანხების ფარგლებში დარჩენილი ეკონომია 135161 ლარი მიიმართოს (010205) სოფელ ორაგვეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების მუხლში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით პროექტზე მიიმართება სულ 291141 ლარი.

ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის სუბსიდიის მუხლის 3500 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სპორტის ხელშეწყობის პროგრამა სხვა ხარჯების მუხლი 3500 ლარით.

კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში არაფინანსური აქტივების მუხლის 130000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ქალთა ფეხბურთის განვითარების (ორგ.კოდი 05 01 01 04) დაფინანსება 130000 ლარით (სესხის მუხლი 32.1.4).

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურეობით უზრუნველყოფის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 24) 16000(თექვსმეტიათასი) ლარით შემცირების ხარჯზე 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით გაიზარდოს „შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“(პროგრამის კოდი 06 02 16); 1000 (ათასი) ლარით „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა“(პროგრამის კოდი 06 02 18) .

აღნიშნული პარამეტრები უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის როგორც შემოსავლის ისე ხარჯვით ნაწილში.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი